



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სამინისტროს
2017 წლის დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშის აუდიტის შედეგების შესახებ



20 ივლისი, 2018 წელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს წარმოადგეს, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა პირობითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

სარჩევი

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	4
1.1 არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია.....	4
1.2 სამინისტროს სარგებლობაში არსებული მიწის ღირებულებითი შეფასება.....	6
1.3 მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია	7
1.4 დაზღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშგებაში ასახვა.....	8
2. სხვა გარემოებები.....	9
2.1 სასამართლო დავებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშგებაში ასახვა	9
2.2 ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9
3. რეაგირება წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე.....	10

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია

გამოვლენილი გარემოებები:

- სამინისტროს ბალანსზე (სამინისტროს აპარატი) რიცხული არაფინანსური, ფინანსური აქტივებისა და მატერიალური ფასეულობების აღწერის მიზნით (გარდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვით შეძენილი მატერიალური ფასეულობებისა), სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით¹ შექმნილია კომისია, ინვენტარიზაციის დასრულების ვადად კი განისაზღვრა 2016 წლის 1 აპრილი. აღნიშნული ვადა ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლენილ სხვადასხვა გარემოებათა გამო, რამოდენიმეჯერ შეიცვალა. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, არ იყო აღწერილი სხვადასხვა ფასეულობები, ასევე, ინვენტარიზაციის პროცესი არ წარიმართა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან სრულად შესაბამისად², გამომდინარე აღნიშნულიდან, ვერ მოხდა ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანა და მათი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში; გარდა ამისა, 2017 წელს, წინა წლის მსგავსად, არ არის ჩატარებული ქონების ინვენტარიზაცია სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტო“-ში. ინვენტარიზაციის განუხორციელებლობის გამო, სამინისტროში ვლინდება ქონების მართვასთან დაკავშირებული შემდეგი ნაკლოვანებები:
- სამინისტროს ბალანსზე (პროგრამული კოდი-27 01) რიცხული შენობა-ნაგებობების უმრავლესობა საჭიროებს იდენტიფიკაციას და შესაბამისი მონაცემებით (დასახელება, ფართობი) ასახვას სააღრიცხვო პროგრამაში;
 - აუდიტის მიერ გამოვლინდა 2,206.48 ათასი ლარის ღირებულების საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობები და მიწა, რომლებიც სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში არ იმყოფება და არ ფიქსირდება საინვენტარიზაციო ფაქტობრივი აღწერით (ნაწილი-პრივატიზებული ან სახელმწიფოსთვის დაბრუნებული, ნაწილზე სამინისტროში არ არსებობს ინფორმაცია/დოკუმენტაცია);
 - სამინისტროს ბალანსზე ირიცხება საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიების საფუძველზე, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად თანამშრომლების მიერ 2013-2016 წლებში მითვისებული 232.09 ათას ლარის ღირებულების აქტივები. სასამართლო გადაწყვეტილებით, საპროცესო შეთანხმების შესაბამისად, სამინისტროს აუნაზღაურდა 120.0 ათასი ლარი. შესაბამისად, ბალანსზე რიცხული აღნიშნული

¹ MOC 5 15 00006451 ბრძანება

² არ მიღებულია მატ. პასუხისმგებელი პირებისგან დასტური შემოსავალ-გასავლის დოკუმენტაციის ბუღალტერიაში ჩაბარების შესახებ, ასევე ბუღალტერიისგან დასტური შემოსავალ-გასავლის დოკუმენტაციის ასახვის შესახებ(მოხსენებითი ბარათი MOC5 18 00267549, 26.03.2018)

აქტივები არარსებულ ქონებას წარმოადგენს, რის შედეგადაც გაზრდილად არის წარმოდგენილი სამინისტროს აქტივების ღირებულება;

- სამინისტროში (პროგრამული კოდი 27 01) კანონმდებლობის შესაბამისად³, ფასეულობათა ხელშეკრულების საფუძველზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გადაბარება არ არის განხორციელებული ყველა იმ ქვედანაყოფში (15 დაწესებულების საწყობი, ამავე დაწესებულებების ავთიაქები, გარე დაცვის განყოფილება, კინოლოგიის განყოფილება და ა.შ), სადაც ხორციელდება ფასეულობათა მიღება, შენახვა და განაწილება. აღნიშნული წარმოშობს რისკს აქტივების დაცულობასთან მიმართებით, ვინაიდან ფორმალურად არ არსებობს მათ მიღება/შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. მატერიალურად პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულებები გაფორმებულია მხოლოდ სამინისტროს 6 საწყობზე.

- 2016 წლის დეკემბერში დაწყებული მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ინვენტარიზაციის ფარგლებში, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ მოძიებული და ამოღებული იქნა ფარმაცევტული პროდუქტების და სამედიცინო სახარჯი მასალების შემოსავალ-გასავლის (ხარჯვის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც საბუღალტრო ჩანაწერებში არ იყო დაფიქსირებული (ვინაიდან საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოსთვის არ იყო გადაცემული), ან ახლიდან საჭიროებდა დაზუსტება-გადამოწმებას, რაც შემდგომში გახდებოდა რეალური ზედმეტობა-ნაკლებობის დადგენის საფუძველი⁴. კომისიის მიერ მოძიებული მასალები მოიცავს დოკუმენტაციას, რომელიც 2009-2016 წლებით თარიღდება და მათი ბუღალტრულად ასახვა განხორციელდა 2017 წლის ანგარიშგებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ჩამოწერის შედეგად მიღებული სამედიცინო ხარჯები არ ასახავს 2017 წლის საანგარიშო პერიოდის რეალურ მაჩვენებელს და წარმოდგენილია მნიშვნელოვნად გაზრდილი ოდენობით.

რეკომენდაცია N1

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სისრულის და სიზუსტის და შესაბამისად, ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე აქტივების დაცულობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად, სამინისტროს აპარატსა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი საინვენტარიზაციო კომისიების მიერ, განხორციელდეს:

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 70, პუნქტი 6

⁴ საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი, N MOC 8 17 00764244.

-)/ ქონების სრულყოფილი ინვენტარიზაცია და შედეგების ასახვა ანგარიშგებაში, ინვენტარიზაციის ფარგლებში მოხდეს ბალანსზე (პროგრამული კოდი 27 01) რიცხული შენობა - ნაგებობების სრული იდენტიფიცირება და მათი სარეგისტრაციო მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა;
-)/ ბალანსზე რიცხული და სამინისტროს სარგებლობაში არარსებული ქონების სრულად იდენტიფიცირება და მათი ჩამოწერა შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

რეკომენდაცია N2

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს მიერ ეტაპობრივად მოხდეს ფასეულობათა აღწერა და მატერიალურ პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულებების გაფორმება ყველა იმ ქვედანაყოფზე, სადაც ხორციელდება ფასეულობათა მიღება, შენახვა და განაწილება.

რეკომენდაცია N3

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სიზუსტის და სისრულის უზრუნველსაყოფად, მოხდეს მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ინვენტარიზაციის შედეგების დამტკიცება და შემდგომ ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, ასევე, განხორციელდეს აღნიშნული მასალების ჩამოწერასთან დაკავშირებული ხარჯების რეტროსპექტიულად გასწორება სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად, რაც გულისხმობს აქტივებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების გადანაგარიშებას.

1.2 სამინისტროს სარგებლობაში არსებული მიწის ღირებულებითი შეფასება

გამოვლენილი გარემოებები:

-)/ ფაქტობრივი აღწერით და წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერები) მიხედვით, სამინისტროს (პროგრამული კოდი 27 01) სარგებლობაშია 1,704.60 ათასი კვმ. მიწის ფართობი, სააღრიცხვო ჩანაწერებში მიწის ანგარიშზე კი ასახულია მხოლოდ 222.19 ათასი კვმ⁵ (სამინისტროს სარგებლობაში არსებული მიწის საერთო ფართობის 13.03%), აქედან 193.38 ათასი კვმ მიწა არ არის შეფასებული⁶, შესაბამისად, ბალანსზე ასახულია ღირებულების გარეშე. შედეგად კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მიწის ღირებულება წარმოდგენილია შემცირებულად;

⁵ სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიწის ნაწილი, დიდ ლილოსა და დიდ დილოშში არსებული მიწის ნაკვეთები, მე-3 დაწესებულების მიწა

⁶ აღნიშნული მიწა სამინისტროს მიერ 2015 წელს არის მიღებული, დანარჩენი აღურიცხავი ქონება წინა წლებშია მიღებული

- სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ შენობა-ნაგებობების სააღრიცხვო ანგარიშზე თბილისის, ოზურგეთის და რუსთავის ოფისების საერთო ღირებულებიდან არ არის გამიჯნული, შეფასებული და 2410 ანგარიშზე ასახული შესაბამისი მიწის ფართობი, რომელიც სარეგისტრაციო მონაცემებით შეადგენს 4,236 კვმ-ს⁷.

რეკომენდაცია N4

ბალანსზე აღრიცხული აქტივების სიზუსტის და სისრულის უზრუნველსაყოფად, მოხდეს სამინისტროსა და სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მათ სარგებლობაში არსებული და ბალანსზე აღრიცხვაში მიწების ღირებულებით შეფასება და შემდგომი ასახვა ანგარიშგებაში.

1.3 მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია

გამოვლენილი გარემოება:

სამინისტროს მიერ წლების განმავლობაში არ ტარდება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რითიც არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები. გამომდინარე აღნიშნულიდან, დებიტორ და კრედიტორ ორგანიზაციებთან არ გაფორმებულა ურთიერთშეადარების აქტები და არ გატარებულა სათანადო ღონისძიებები დავალიანებების რეალურობის დასადგენად⁸.

რეკომენდაცია N5

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების სისრულის და სიზუსტის და შესაბამისად, ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნას შესაბამისი კომისიები, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, განხორციელდეს მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და შედეგების ასახვა ანგარიშგებაში. სამართალდამცავ ორგანოებთან მოხდეს კომუნიკაცია იმ დავალიანებებზე, რომელთა დოკუმენტაციაც გადაგზავნილია ამ უწყებაში.

⁷ თბილისი-2677 კვმ, ოზურგეთი-936 კვმ, რუსთავი-600 კვმ

⁸ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

1.4 დაზღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშგებაში ასახვა

გამოვლენილი გარემოება:

სამინისტროს ანგარიშგებაში შემოსავლების და ხარჯების შესაბამის ანგარიშგებზე არ არის ასახული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ანაზღაურებასთან დაკავშირებული თანხები (სულ 197.48 ათასი ლარი). შედეგად, არსებობს რისკი იმისა, რომ ვერ განხორციელდეს სრულყოფილი კონტროლი სადაზღვევო შემთხვევების შედეგად წარმოქმნილ დებიტორულ დავალიანებებზე.

რეკომენდაცია N6

შემოსავლების და ხარჯების სისრულის უზრუნველყოფის და დაზღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნების კონტროლის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, მოხდეს დაზღვევასთან დაკავშირებული შემოსავლების და შესაბამისი ხარჯების ასახვა ანგარიშგებაში.

2. სხვა გარემოებები

2.1 სასამართლო დავებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშგებაში ასახვა

გამოვლენილი გარემოება

სამინისტროს 2017 წლის ანგარიშგებაში, წინა წლის მსგავსად, არ განხორციელებულა სასამართლო დავებთან დაკავშირებული თანხების სრულად ასახვა (პირობითი მოთხოვნები, ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები), რაც ვერ უზრუნველყოფს ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

რეკომენდაცია N7

აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშგებაში სრულად ასახვის მიზნით, იურიდიულ დეპარტამენტთან კომუნიკაციით მოხდეს სასამართლო დავებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება და შესაბამისი თანხების (მოთხოვნები, პირობითი მოთხოვნები, ვალდებულებები) ანგარიშგებაში ასახვა.

2.2 ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

გამოვლენილი გარემოება:

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში (შესაბამისად, სამინისტროს კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებშიც) არ არის ასახული კონტროლირებული ერთეულის, შპს „პერსპექტივა“-ს შესახებ ინფორმაცია, რაც არ შეესაბამება სააღრიცხვო ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

რეკომენდაცია N8

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა სრულად ინფორმირების მიზნით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოხდეს კონტროლირებული ერთეულის შპს „პერსპექტივა“-ს შესახებ ფინანსური ინფორმაციის ასახვა განმარტებით შენიშვნებში აქტივების, ვალდებულებების, ნამეტის და დეფიციტის თანხების ჩათვლით.

3. რეაგირება წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე

რეკომენდაცია N1

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების სისრულის და სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს აპარატსა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ შეიქმნას შესაბამისი კომისიები, განხორციელდეს ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, გადაწყდეს ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების შემდგომი აღრიცხვის საკითხი (საცნობარო მუხლზე გადატანა).

რეკომენდაცია N2

მოხდეს არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის დასრულება შესაბამის ვადებში, შენობა-ნაგებობების სრულად იდენტიფიცირება, აქტივების კლასიფიკაციის სისწორის გადახედვა, უძრავი ქონების სარეგისტრაციო მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა.

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

სამინისტროსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნული საკითხი კვლავ პრობლემურია, არ განხორციელებულა მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, სააგენტოში ასევე არ ჩატარებულა ქონების ინვენტარიზაცია. რაც შეეხება სამინისტროს, 2015 წლის ოქტომბერში დაწყებული ქონების ინვენტარიზაცია ჩატარდა არასრულად, ვერ იქნა გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები, პროცესში არ იყო დაცული კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო პროცედურა. სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2018 წლის 27 აპრილის ბრძანებით, სამინისტროში დაიწყო ახალი ინვენტარიზაცია.

რეკომენდაცია N3

ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე მოხდეს საშტატო რიცხოვნობისა და შესაბამისი შრომის ანაზღაურების ფონდის რეალური ოდენობით განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში დიდი რაოდენობით თავისუფალი საშტატო ერთეულებისა და შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი ეკონომიების არსებობა.

შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული

2018 წლიდან საკითხი ნაწილობრივ დარეგულირებულია, სამინისტროში მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე დაწყებულია დანამატის ზღვრული ოდენობები, შეიცვალა საშტატო განრიგი და გაიზარდა თანამდებობრივი სარგოები, თუმცა დანამატების გაცემა კვლავ ხორციელდება თავისუფალი საშტატო ერთეულებიდან წარმოქმნილი ეკონომიებიდან.

რეკომენდაცია N4

შესყიდვების გეგმა შედგენილ იქნას რეალურ საჭიროებებზე დაყრდნობით, დადოკუმენტირდეს მისი თითოეული ცვლილება და მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზეზები, რაც შესაძლებელს გახდის სამინისტროს დაგეგმილ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების დეტალურ ანალიზს.

შესრულების მდგომარეობა: შესრულდა

რეკომენდაცია შესრულებულია, მინისტრის ბრძანების საფუძველზე 2017 წელს შემუშავდა შესყიდვების გეგმის დამტკიცების წესი.

რეკომენდაცია N5

ოპტიმალური დაგეგმვის მიზნით და ტენდერებში კონკურენციის გასაუმჯობესებლად, სამინისტროს მიერ შესასყიდი მედიკამენტების რაოდენობის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნას მედიკამენტების საჭირო რაოდენობა, წინა წლებში არსებული მოხმარების გათვალისწინებით.

შესრულების მდგომარეობა: შესრულდა

რეკომენდაცია N6

აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშგებაში სრულად ასახვის მიზნით, იურიდიულ დეპარტამენტთან კომუნიკაციით მოხდეს სასამართლო დავებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება და შესაბამისი თანხების (მოთხოვნები, პირობითი მოთხოვნები, ვალდებულებები) ანგარიშგებაში ასახვა.

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

2017 წლის აუდიტის ფარგლებში, კვლავ ფიქსირდება სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მათი ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

რეკომენდაცია N7

შემოსავლების სისრულის უზრუნველყოფის და დაზღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნების კონტროლის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, მოხდეს დაზღვევასთან დაკავშირებული შემოსავლების ასახვა ანგარიშგებაში.

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

2017 წლის ანგარიშგებაში აღნიშნული ინფორმაცია არ იყო ასახული, შესაბამისად რეკომენდაცია შეუსრულებელია. პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, აღნიშნული საკითხი სრულად დარეგულირდება 2018 წლის ანგარიშგების მომზადებისას.

რეკომენდაცია N8

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა სრულად ინფორმირების მიზნით, მოხდეს კონტროლირებული ერთეულის შპს „პერსპექტივა“-ს შესახებ ფინანსური ინფორმაციის ასახვა განმარტებით შენიშვნებში აქტივების, ვალდებულებების, ნამეტის და დეფიციტის თანხების ჩათვლით.

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

2017 წლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კვლავ არ არის ასახული რეკომენდაციაში მითითებული ინფორმაცია კონტროლირებული ერთეულის შესახებ, შესაბამისად, რეკომენდაცია შეუსრულებელია. პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, აღნიშნული საკითხი სრულად დარეგულირდება 2018 წლის ანგარიშგების მომზადებისას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE